



ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კარმენ“

(ს/ნ 234238296)

30 სექტემბერი 2019

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2-5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10-22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „კარმენ“-ის (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და მოგებისა დაზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

კომპანიის 2019 წლის მეორე ნახევარში შეწყვიტა შეცვალა საოპერაციო საქმიანობა:

შეწყვიტა პროდუქციის წარმოება და იჯარით გასცა მესამე პირზე მის საკუთრებაში არსებული ქარხანა (წისქვილკომბინატი), რაც არსებით გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ფინანსურ შედეგზე.

არნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება არ მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2018 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მის ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს ჩვენს მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

შპს „ტექს ინფო“-ს სახელით

თბილისი, საქართველო



30 სექტემბერი 2019წ.

და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

-----შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2019წ.

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ. N	2018	2017
		ლ'000	ლ'000
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5	35 725,31	23 619,99
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან		203,41	173,89
სხვა შემოსავალი		-	38,53
სულ შემოსავალი		35 928,71	23 832,41
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(31 804,62)	(21 870,67)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(334,22)	(355,28)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(12,74)	(15,42)
ცვეთა და ამორტიზაცია		(667,25)	(668,06)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)		(103,73)	(110,28)
ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი		(100,48)	(131,52)
საკონსულტაციო ხარჯი		(51,34)	(29,44)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-	(0,05)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(21,25)	(8,43)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(169,20)	(104,18)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(33 264,81)	(23 293,33)
ფინანსური შემოსავალი	7	203,17	234,49
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(186,36)	-
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(683,43)	438,64
მოგება მოგების გადასახადის დაბეგრამდე		1 997,28	1 212,20
მოგების გადასახადის ხარჯი		(0,35)	-
წლის მოგება		1 996,93	1 212,20
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
მოგების გადასახადის ეფექტი		-	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში, წმინდა		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		1 996,93	1 212,20

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს.



/ზაზა ჯაფარიძე/

[Handwritten signature]

/ინგა ბალიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ. N	2018 ლ'000	2017 ლ'000
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5	35 725,31	23 619,99
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან		203,41	173,89
სხვა შემოსავალი		-	38,53
სულ შემოსავალი		35 928,71	23 832,41
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(31 804,62)	(21 870,67)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(334,22)	(355,28)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(12,74)	(15,42)
ცვეთა და ამორტიზაცია		(667,25)	(668,06)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)	6	(103,73)	(110,28)
ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი		(100,48)	(131,52)
საკონსულტაციო ხარჯი		(51,34)	(29,44)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-	(0,05)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(21,25)	(8,43)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(169,20)	(104,18)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(33 264,81)	(23 293,33)
ფინანსური შემოსავალი	7	203,17	234,49
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(186,36)	-
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(683,43)	438,64
მოგება მოგების გადასახადის დაბეგვრამდე		1 997,28	1 212,20
მოგების გადასახადის ხარჯი		(0,35)	-
წლის მოგება		1 996,93	1 212,20
სხვა სრული შემოსავალი:			
მოგების გადასახადის ეფექტი		-	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში, წმინდა		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		1 996,93	1 212,20

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს.

_____/ზაზა ჯაფარიძე/

_____/ინგა ბალიაშვილი/

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ. N	31.12.2018 ლ'000	31.12.2017 ლ'000	01.01.2017 ლ'000
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	7 871,61	8 514,83	9 182,13
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		7 871,61	8 514,83	9 182,13
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	9	13 556,88	2 256,03	5 702,41
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4 374,35	2 745,97	2 545,45
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		3 105,49	2 528,67	12,09
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	437,89	6 834,75	3 974,55
სულ მიმდინარე აქტივები		21 474,61	14 365,41	12 234,50
სულ აქტივები		29 346,22	22 880,24	21 416,63
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		17,61	17,61	17,61
გაუნაწილებელი მოგება		18 740,81	16 743,88	15 531,68
სულ კაპიტალი		18 758,42	16 761,49	15 549,29
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები		-	-	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები		-	-	-
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები და კრედიტები		5 901,49	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	4 173,95	5 801,96	5 838,98
საგადასახადო დავალიანებები		512,37	316,79	28,36
მიმდინარე ვალდებულებები		10 587,80	6 118,75	5 867,34
სულ ვალდებულებები		10 587,80	6 118,75	5 867,34
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29 346,22	22 880,24	21 416,63

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი 'ლ'000	გაუნაწილებელი მოგება 'ლ'000	გადაფასების რეზერვი 'ლ'000	სულ კაპიტალი 'ლ'000
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით		17,61	15 531,68	-	15 549,29
მოგება/ზარალი წლის					
განმავლობაში		-	1 212,20	-	1 212,20
დივიდენდები		-	-	-	-
კაპიტალის შემცირება		-	-	-	-
დაუფარავი ზარალის					
გაუქმება		-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31					
დეკემბრის მდგომარეობით		17,61	16 743,88	-	16 761,49
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით		17,61	16 743,88	-	16 761,49
მოგება/ზარალი წლის					
განმავლობაში		-	1 996,93	-	1 996,93
დივიდენდები		-	-	-	-
კაპიტალის შემცირება		-	-	-	-
დაუფარავი ზარალის					
გაუქმება		-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31					
დეკემბრის მდგომარეობით		17,61	18 740,81	-	18 758,42

**მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გაუნაწილებელი მოგება 'ლ'000
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	15 531 682
მიმდინარე წლის (2017) მოგება (ზარალი)	1 212 201
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	16 743 883
მიმდინარე წლის (2008) მოგება (ზარალი)	1 996 929
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	-
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	18 740 812

10-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2018	2017
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	40,742	27,980
სხვა მიღებული ფულადი სახსრები	2	13
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(47,222)	(22,691)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(952)	(891)
საბანკო ხარჯები	(37)	(5)
გადახდილი გადასახადები	(4,575)	(2,008)
კურსთაშორის სხვაობა (ნეტ)	(307)	340
სხვა გადახდილი თანხები	(51)	(113)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(12,400)	2,626
ძირითადი საშუალებების შეძენა	(26)	(1)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გასული წმინდა ფულადი სახსრები	(26)	(1)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
გადახდილი სესხის პროცენტები	(183)	-
გადახდილი სესხი	(3,800)	-
მონაწილეობა სხვა შპს-ში	(5,017)	-
წილის გაყიდვა	5,126	-
მიღებული სესხი	9,699	-
მიღებული სესხის პროცენტი	203	234
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	6,029	234
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	(6,397)	2,860
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6,835	3,975
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	438	6,835

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კარმენ“-ი (შემდგომში - კომპანია) არის 2007 წლის 07 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი N25.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფქვილის წარმოება.

კომპანიის პარტნიორი	<u>31.დეკ.18</u>	<u>31.დეკ.17</u>	<u>01.იან.17</u>
ტალეხ გასიმოვი (P4387365)	100%	100%	100%
სულ:	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>

2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი იყო - მერაბ დათვიაშვილი (პ/ნ 59001043946), ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის თარიღისათვის კომპანიის დირექტორი არის - ზაზა ჯაფარიძე (პ/ნ 59001035561)

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორების მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

- (ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმოიღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|----------------------------|---------------|
| • შენობა-ნაგებობები | 30 – 50 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 – 10 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 5 – 10 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი; |
| • ძალოვანი დანადგარები | 5 - 10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუილ ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და
- (ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. არსებითი განუსაზღვრელობა საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით

2019 წლის მეორე ნახევრიდან საწარმომ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების/შემცირების მიზნით მოახდინა (ფქვილის, ქატოს) წარმოების შეწყვეტა და მის საკუთრებაში არსებული ქარხნის მესამე პირზე დროებით სარგებლობაში - იჯარით გადაცემა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კომპანიის შემოსავლის დიდი ნაწილის ფორმირება ხდებოდა ნაწარმოები პროდუქციის (ფქვილი/ქატოს) რეალიზაციით მიღებული თანხებით, აღნიშნული ოპერაცია არსებით გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

5. შემოსავალი

	<u>2018</u>	<u>2017</u>
	<u>ლ'000</u>	<u>ლ'000</u>
მზა პროდუქციის და ნედლეულის რეალიზაცია	35 725,31	23 514,27
შემენილი საქონლის რეალიზაცია	-	105,72
სულ შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	35 725,31	23 619,99

	<u>2018</u>	<u>2017</u>
	<u>ლ'000</u>	<u>ლ'000</u>
შენახვის მომსახურება	68,29	98,43
სატრანსპორტო მომსახურება	68,18	74,42
სხვა მომსახურება	66,93	1,04
სულ შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	203,41	173,89

6. საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)

	<u>2018</u>	<u>2017</u>
	<u>ლ'000</u>	<u>ლარი'000</u>
მიწის გადასახადი	26,92	26,92
ქონების გადასახადი	76,81	83,36
სულ საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგებისა)	103,73	110,28

7. ფინანსური შემოსავლები

	<u>2018</u>	<u>2017</u>
	<u>ლ'000</u>	<u>ლ'000</u>
საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან*	203,17	234,49
ფინანსური შემოსავლები	203,17	234,49

* კომპანიის ფინანსური შემოსავლები მთლიანად არის ფორმირებული საბანკო ინსტიტუტებში უვადოდა/ან მოკლევადიანი დეპოზიტების განთავსებით მიღებული პროცენტის თანხებიდან

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	ავტო და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ძალღვაწი დანადგარები	სულ
	ლ'000	ლ'000	ლ'000	ლ'000	ლ'000	ლ'000	ლ'000
ისტორიული ღირებულება 01.01.2017	508,45	6 548,96	196,85	5 036,89	240,80	212,98	12 744,93
შემოსვლა			0,76				0,76
გასვლა			(0,01)				(0,01)
გადაცემები							
სტორიული ღირებულება 31.12.2017	508,45	6 548,96	197,59	5 036,89	240,80	212,98	12 745,68
ისტორიული ღირებულება 01.01.2018	508,45	6 548,96	197,59	5 036,89	240,80	212,98	12 745,68
შემოსვლა		3,27	2,83	20,26			26,36
გასვლა			(0,01)	(10,00)			(10,01)
გადაცემები							
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	508,45	6 552,23	200,41	5 047,16	240,80	212,98	12 762,03
ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 01.01.2017		(760,47)	(81,57)	(2 433,25)	(149,96)	(137,55)	(3 562,80)
ცვეთა		(129,58)	(14,78)	(478,33)	(24,08)	(21,28)	(668,05)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017		(890,05)	(96,36)	(2 911,58)	(174,04)	(158,83)	(4 230,85)
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018		(890,05)	(96,36)	(2 911,58)	(174,04)	(158,83)	(4 230,85)
ცვეთა		(129,58)	(14,80)	(477,50)	(24,08)	(21,28)	(667,24)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა				7,67			7,67
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	-	(1 019,63)	(111,15)	(3 381,41)	(198,12)	(180,10)	(4 890,42)
საბალანსო ღირებულება							
საბალანსო ღირებულება 01.01.2017	508,45	5 788,49	115,27	2 603,64	90,84	75,43	9 182,13
საბალანსო ღირებულება 31.12.2017	508,45	5 662,18	104,06	2 135,58	66,76	54,15	8 514,83
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	508,45	5 532,60	89,26	1 665,74	42,68	32,88	7 871,61

8.1. აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებების შეფასებას კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მეთოდი) (იხ. დანართი N3/2 - ძირითადი საშუალებები);

8.2. ძირითადი საშუალებები გარდა (უძრავი ქონებისა), ისევე როგორც საზოგადოების მთელი მოძრავი ქონება დატვირთული საქართველოს ბანკის სასარგებლოდ გირავნობა/ლიზინგის უფლებით (საკრედიტო ხაზით გაცემული/გასაცემი ფულადი სახსრების უზრუნველსაყოფად);

8.3. კომპანიის უძრავ ქონებას მიმდინარე დავის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სასამართლო განჩინების საფუძველზე ადევს რეალიზაციის აკრძალვა.

9. მარაგები

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
	ლ'000	ლ'000	ლ'000
ნედლეული და მასალები	12 573,96	1 582,82	4 567,96
მზა პროდუქცია	750,33	527,32	804,56
სხვა მარაგები	232,59	145,89	329,89
მარაგები	13 556,88	2 256,03	5 702,41

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
	ლ'000	ლ'000	ლ'000
ნაღდი ფული სალაროში	45,70	29,91	7,62
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	392,20	6 804,84	3 966,93
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	437,90	6 834,75	3 974,55

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
	ლ'000	ლ'000	ლ'000
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	31,78	1 760,53	1 718,83
მიღებული ავანსები	112,13	95,86	95,86
გადასახდელი ხელფასები	-	42,61	39,11
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	4 030,04	3 902,96	3 985,17
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 173,95	5 801,96	5 838,98

დამფუძნებლის წინაშე კომპანიის ვალდებულება ძირითადი ნაწილი წარმოშობილია კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებით საწესდებო კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით, რომლის ნაწილიც კომპანიის პარტნიორს ჯერ კიდევ არ გაუტანია.

12. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობის საადრიცხო დაშვებები, მსჯელობები და შეფასებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და განხილულია სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა აღნიშნული შეფასებები შეიძლება განსხვავებული იყოს რეალური შედეგებისგან:

ძირითადი საშუალებების შეფასება

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლებიც დარწმუნებულები არიან რომ ეს შეფასება არ განსხვავდება ამ ძირითადი საშუალებების რეალური მომსახურების ვადებისგან. რეალური მომსახურების ვადების შეფასებისაგან გასხვავებულობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგება არსებითად განსხვავებული იქნება.



მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



ფაქტები კომპანიის შესახებ

საწარმოს დასახელება:

რეგისტრაციის თარიღი:

საწარმოს იურიდიული/ფაქტ. მისამართი:

დაქირავებულ პირთა რაოდენობა:

დარგი:

მთლიანი აქტივების ღირებულება:

საწარმოს პარტნიორი (100%-იანი წილი):

საწარმოს დირექტორი:

შპს კარმენ

07 სექტემბერი 2009

საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი N25

104

ფქვილის/ქატოს წარმოება

12 მილიონზე მეტი

ტალეხ გასიმოვი

ზაზა ჯაფარიძე



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კარმენ“-ი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფქვილის მწარმოებელ საწარმოს საქართველოში. საწარმოს რეალიზაციამ 2018 წელს 35 მილიონ ლარს გადააჭარბა, რამაც 50.75%-ით გაუსწრო წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

რეალიზაცია, 2017 წელი (ათასი) ლარი	რეალიზაცია, 2018 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან %
23 832.41	35 928.71	50.75%



გაყიდვების უდიდესი ნაწილი მოდის ფქვილის, ქატოს და ხორბლის რეალიზაციაზე, ხოლო გაყიდვების მცირე ნაწილი ფორმირდება სხვადასხვა სახის მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებით:

რეალიზაცია, 2017 წელი (ათასი) ლარი	რეალიზაცია, 2018 წელი (ათასი) ლარი	რეალიზებული საქონელი/მომსახურება
23 619.99	35 725.31	ფქვილი, ქატო, ხორბალი
212.42	203.41	სხვა შემოსავალი

2018 წელს გაიზარდა საწარმოს მთლიანი აქტივების ღირებულება და შეადგინა 29 346.22 (ათასი) ლარი, რაც 28.26 %-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან.

სულ აქტივები, 2017 წელი (ათასი) ლარი	სულ აქტივები, 2018 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
22 880.24	29 346.22	28.26%

საწარმოში 2018 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა - 104 ადამიანი, რაც 3.70%-ით არის ნაკლები კლება წინა წლების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

პერსონალი, 2017 წელი ადამიანი	პერსონალი, 2018 წელი ადამიანი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
108	104	(3.70%)



საწარმოში 2018 წელს საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 790 ლარს, ხოლო 2017 წელს - 589 ლარს

საშუალო ხელფასი, 2017 წელი ლარი	საშუალო ხელფასი, 2018 წელი ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
589	790	34.12%

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საწარმოში დასაქმებულ პირთა 30% ქალია:

ქალთა წილი დასაქმებულებში, 2017 წელი %	ქალთა წილი დასაქმებულებში, 2018 წელი %
30%	30%

საწარმო წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუტორს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ:

გადახდილი გადასახადები, 2017 წელი (ათასი) ლარი	გადახდილი გადასახადები, 2018 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
2 002, 97	4 468.87	(123.11%)

არსებითია ჩვენი კონტრიბუცია, ქონების გადასახადის სახით, ადგილობრივ ბიუჯეტში:

გადახდილი გადასახადები, 2017 წელი (ათასი) ლარი	გადახდილი გადასახადები, 2018 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან
110.28	103.73	(5.93%)

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება არაუმცირეს წელიწადში ერთხელ, რომლის აუდიტირება ხდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი არის საბუღალტრო/საფინანსო სამსახური.



..... შიდა კონტროლის მექანიზმები

საწარმოში კონტროლი ხორციელდება რამოდენიმე სხვადასხვა ეტაპზე, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში განზრახ, თუ უნებლიე შეცდომის დაშვების რისკს:

1) საწარმოში განხორციელებული ყოველდღიური დსმეურნეო ოპერაციები, კონტროლდება და აღირიცხება საწარმოს ფინანსური/საბუღალტრო ჯგუფის მიერ;

2) საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებების დამუშავებული და აღრიცხული ფინანსური მაჩვენებლები კიდევ ერთხელ მოწმდება და კონტროლდება საწარმოს შიდა აუდიტორის მიერ ყოველთვიურად;



3) საწარმოს საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებისა და შიდა აუდიტორის მიერ შედგენილი წლის ფინანსური ანგარიშგება მოწმდება და მტკიცდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;

4) თავის მხრივ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება კიდევ ერთ კონტროლს გადის საწარმოს პარტნიორთა კრებაზე;

5) 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილი პროცედურობის გამართულობა პერიოდულად მოწმდება საწარმოს უფლებამოსილი პირების მიერ.



გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

საწარმოს მიზანია მინიმუმამდე შეამციროს მისი ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ამ მიზნის მისაღწევად, საწარმოო ნარჩენების გონივრული მენეჯმენტის კუთხით

საწარმოს მიერ მუდმივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. 2019-2020 წელს გარემოსდაცვითი საკითხები საწარმოს ერთ-ერთ მთავარ რჩება.



მთავარი გამოწვევა 2018-2019 წელს

2019 წლის მეორე ნახევრიდან საწარმოს მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საწარმოს საკუთრებაში არსებული წისქვილკომბინატი მმართველობაში გადაეცა მესამე პირს, რომელმაც სრულად აიღო საწარმოს მიერ განსაზღვრული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის უცვლელად გაგრძელების პასუხისმგებლობა.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

შპს „კარმენ“-ის დირექტორი

საწარმოს მიერ მუდმივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. 2019-2020 წელს გარემოსდაცვითი საკითხები საწარმოს ერთ-ერთ მთავარ რჩება.



მთავარი გამოწვევა 2018-2019 წელს

2019 წლის მეორე ნახევრიდან საწარმოს მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით საწარმოს საკუთრებაში არსებული წისქვილკომბინატი მმართველობაში გადაეცა მესამე პირს, რომელმაც სრულად აიღო საწარმოს მიერ განსაზღვრული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის უცვლელად გაგრძელების პასუხისმგებლობა.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია

შპს „კარმენ“-ის დირექტორი





შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ.
N12, 0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str.
N12, 0193 Tbilisi, Georgia

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კონონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „კარმენ“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს ჩვენ არ ჩაგვითარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლსა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

გრიგოლი ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს

სახელით თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2019წ



Tax Info

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)

KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ.
N12, 0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo LLC. (SARAS-F-822418)

King David – Business Center, M.Aleksidze Str.
N12, 0193 Tbilisi, Georgia

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კონონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „კარმენ“-ის ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს ჩვენ არ ჩავვიტარებთა წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლსა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

გრიგოლი ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს

სახელით თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2019წ